№ 220 ოქტომბერი 16, სამშაბათი 1890 ოქტომბერი 16, სამშაბათი № 220


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჟუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანტოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.


### გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნაკი:

**ქუთაისის ბანკის საქმე.**

წერილები
ილია ჭავჭავაძისა.
გამოცემა ქუთათელისა.
ფასი ერთი შაური.

(5—1)



### ქართული თეატრი

სამშაბათს, 16 ოქტომბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ორი ცოლიანი**

კომედ. 2 მოქმედ. თხზ. დ. კეზელისა.

II

**ცელქები**

ხუმრობა ვოდევილი 1 მოქმ. კუპლეტებით.

დასასრულ
**ლეკური**

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, გერსულიძისა, ტარიელოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე


### დასაფლავება თ. დავით გიორგის ძის ერისთავისა.

გუშინ-წინ, დილის ათს საათზედ, სახლიდგან გამოასვენეს უდროოდ გარდაცვალებული და მოკლებული წუთი-სოფელს, განსვენებული თ. დავით გიორგის ძე ერისთავი. ამ დასაფლავებას თითქმის ყველა წარმომადგენელი დაესწრო ტფილისის სამღვდელოებისა—ეპისკოპოსი გორისა, ალექსანდრე, არქიმანდრიტნი მაკარი, ნიკოლოზი და სხვ. კუბო განსვენებულისა ეკკლესიამდე ხელით მიჰქონდათ და უკან მიჰყვებოდა მწუხარედ დიდძალი ხალხი, წოდებისა და სარწმუნოების განურჩევლად. მთელი ბალდახინი გვირგვინებით იყო დაფარული. სწორედ თერთმეტი საათი შესრულდა, რომ კუბო შეასვენეს კალოუბნის ეკკლესიაში, სადაც წირვა და პანაშვიდი გადაუხადა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კრებულის დახმარებით.

ორის ნახევარზედ კუბო გამოასვენეს ეკკლესიიდგან იქვე გალავანში, სადაც სამარე იყო გათხრილი, და თან გამოჰყვნენ მწუხარე და მდუღარე ცრემლის მფრქვეველნი მოხუცი დედა და ახალგაზდა მეუღლე. აქ დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა. სიტყვები წარმოსთქვეს: ი. მ. მეუნარგიამ, ვ. სულხანიშვილმა დრამატიულ საზოგადოების სახელითა და აკაკი წერეთელმა. მოგვყავს აქვე სიტყვა ი. მ. მეუნარგიასი და აკაკი წერეთლისა.

სიტყვა ი. მეუნარგიასი

ძმაოდავით, საყვარელო მეგობარო.

ჯერ კიდევ ცრემლი არ შეგვშრობია, ჯერ კიდევ ვახტანგის სახელს დაენაღვლით და შენც გვიმტყუნე და მოაშორე ჩვენს სიტყვიერებას შენი მახვილი, შენი მოკლედ მჭრელი სწორი და ტკბილი ქართული ენა. თითქო ჩვენ ისე მდიდარნი ვიყვნეთ და ორის მწერლის დაკარგვა არაფრად მიგვაჩნდეს, თითქო ამ წელში სხვა სახელოვანი მეცნიერი არ დაგვკარგვოდეს, სხვა ნიჭიერი მწერალი არ დაგვემარხოს ცოცხლად სამარეში. მოგვაკლდი და გული დაგვწყვიტე, მოგვაგონე, რომ სიკვდილი არც სიყმაწვილეს ინდობს, არც ღარიბსა და ღატაკს ერს, რომლის სიმდიდრე ხუთი-ექვსი მწერალი-ღა არის ქვეყანაზე. ნეტავი ჩემის ყურით არ გამეგონა, როცა გუშინ შენს პანაშვიდზე ერთი ჩვენი თავი მწერალი შესჩიოდა მეორეს გულ-დაწყვეტილი: „დავითმა დაიწყო, სხვაა ჩვენი რიგიც მოუვა, ჩვენი კოლოფიც გადაბრუნდებაო“.

კურთხევით მოგიხსენებს, ძმაო დავით ყველა, ვინც გაიცნობს შენს ღვაწლსა და ცხოვრებას. მემკვიდრეობით შენ მარტო ნიჭი არ მიგიღია მამისაგან, როგორც გითქვამს და გიწერია, შენ მიგიღია სიყვარულიც ყოველ იმ საქმისა, რომელსაც განსვენებულმა და სახელოვანმა მამა შენმა ისე კარგად და ისე ბეჯითად ჰმსახურა. მაგრამ მამა ემსახურა ქართველს ერს—მასს სცენასა და მწერლობას—იმ დროს, როდესაც ჩვენ კიდევ მოგვწევდა ძალა ძველის ერთვენებისა და ზურგი გვქონდა გამაგრებული იმ კურთხეულის კაცისაგან, რომლის სახე თაყვან-საცემად ჩვენ შორის ამართულია. შენ-კი მისმა შვილმა, შემოსდგი ფეხი საზოგადო სარბიელზე იმ დროს, როდესაც წიგნი დაცემული იყო ჩვენში, ოჯახი—გადაგვარებული, სცენა — გმობილი, თეატრი—ცალიერი.

შენ გახდი უმთავრეს მოქმედ პირად ქართულის სცენის განახლებისა და საზოგადოებაც მოგყვა გულდანდობით. ნამდვილი სიყვარული ქართულის სცენისა დაიბადა და მოინათლა მაშინ, როდესაც ჩვენს საზოგადოებას ტანში ჟრუანტელმა გაუელვა შენის „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს. იმის წარმოდგენის დღე—20 იანვ. 1882 წლისა—ერთი რამ თარიღი არის არა მარტო ჩვენის თეატრის ისტორიისა, არამედ ჩვენის საზოგადოების აღორძინებისაც. „ოღონდ უსაქმოდ და უსარგებლოდ ნუ იქნება მწერალი, ოღონდ აღძრას იმან ჩვენს გულში ვითარიმე გულის-თქმა, ოღონდ შთაბეჭდილება ჩაგვისახოს, ოღონდ მხარი მისცეს ერის სულიერს აღორძინებასა და ჩვენთვის სულ ერთია, მშიერის კაცის საზრდო პური საკუთარის ფულით არის ნაყიდი, თუ სხვისგან ნასესხითა და წანართმევითო“, იტყოდი შენ, როცა სამშობლოს თარგმანზე დაიწყებდნენ ლაპარაკს. ცხოვრებაც ისე მოკლეა და ქვეყანა ისე ფართე, რომ სხვის მწერლობაში გამოძებნილი და გადმოკეთებული ქმნილება იგივე ოქროა, მიწაში მდებარე, რომლის პოვნაც ღვაწლია და დიდ ღვაწლადაც უნდა ჩაითვალოს.

როგორც მამა შენი, შენ არა მარტო მწერალი იყავი სათეატრო ქმნილებისა, არამედ აღმასრულებელიც. ვის არ უნახავხარ სცენაზე!.. რამდენი კარგი და დაუვიწყარი საღამო გაუტარებია შენის მეოხებით ტფილისის საზოგადოებას. ვის ეყვედრება ფუნებრი კითხვა არა მარტო ჩვენში, არამედ ბევრგან სხვაგანაც. ვის არ ახსოვს შენგან წაკითხული „კაზიმი-

---

## ფელეტონი

### მკვდარია, თუ ცოცხალი?

(მოთხრობა ლუი კლოდელისა)

ყველას ანდრეას სახელი ეკერა პირზედ. მთელი პარიჟი იმის სანახავად მიდიოდა და დიდის სიამოვნებითაც დასძახებდნენ ხოლმე ვაშა-ვაშას. სალაპარაკოდ ის-ღა გამხდარიყო სასახლეშიაცა და ქოხშიაც, სენტ-ანტუანის უბანში, მუფთარის ქუჩაზედ, ბირჟაზედ, ბრედა-სტიტში; იმის შესახებ-ღა ბაასობდნენ აქაც, იქაც და ყველგანაც. ყველანი—ბულვარის მტკეპნელი ქოჩორ-გადავარცხნილი პრანჭიებიცა და უბნის ხელოსნებიც—იმის სახელითა ჰბოდავდნენ, თუმცა ანდრეა არც ერთსა და არც მეორეს გადახედვასაც არ ღირსებდა, თითქოს ადამიანად არავისა სთვლისო. ყველა ქალს, სიამოვნების ქურუმსაცა და მოვალეობის ულმობლად, წმინდად დამცველსაც, ცამდე აჰყავდა ქებითა და დიდებით, თუმცა ანდრეას არც უსირცხვილოდ გულ-მკერდ გაღეღილის ტანისამოსის ჩაცმა უყვარდა და არც ყელ-ყურის მონაზონისებურ მობურვა. მაშ ვინ და რაღა უყვარდა თვით ანდრეას, ამ მხეცთა-დამამშვიდებელს? მას უყვარდა თავისი ნადირები... დიაღ, ნადირები... ეს იყო და ეს. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ისინიც თანაგრძნობას არ აკლებდნენ. მართლაც-და, ადამიანი ძნელად წარმოიდგენდა ანდრეას ისე, თუ არა ცირკში უნაღვლ-უდარდელად მჯდომარეს თავისს ფაფარ-აშვებულ ლომებ შორის, ან ამაყად მდგარსა და ვეფხზედ განრისხებულს. ას-ენოვანი მითქმა-მოთქმა აქებ-ადიდებდა და მოწონების გუნდრუკს უხვად უკმევდა. ზოგიერთნი მისნი მნახველნი ომფალასა და ცირცეიას ადარებდნენ. დასასრულ, ერთს მშვენიერს დღეს ვიღაც ენა-გრძელმა მეგაზეთემ ფარდა აჰხადა იმის საიდუმლოს და გამოაცხადა:

„ანდრეა, ეს თვალთ-წარმტაცი, ეს მომხიბლავი, უშიშარი, უმანკო, შეუდარებელი და ღვთაებრივი ანდრეა, რომელსაც მთელი პარიჟი ყოველ საღამოს თაყვანსა სცემს,—უკანონო ქალიშვილია გამოჩენილის ჰერცოგის დე-პ... ლორდის ფ-სი..., რომელიც წარსულს წელს გარდაიცვალა ვირგინიას, რიჩმონდში (ამერიკაში); ანდრეა, რომელსაც ყველა ალტაცებით ზედ დაჰხარის და რომელიც ქალწულებრივის სიწმინდის დაფნის ღირსია, დაიბადა ვესტ-ინდოეთში, 18... წელს“.

ამ სწორედ პარიჟულ უბოდიშო წერილს შემდეგ, წერილს, რომელსაც არა ერთ გზის კითხულობდნენ და ათას გვარს კუდსა და კილოს აბამდნენ, არ გაიარა სამმა თუ ოთხმა დღემ, რომ ქალაქის კედლებზედ გააკრეს უშველებელი ყვითელ-არშიანი წითელი განცხადებები. განცხადებაზედ დიდრონის თეთრისა და შავის ასოებით ეწერა:

დღეს, კვირას, 8 მაისს
ქალი ანდრეა
გაჰმართავს განსაკუთრებულს წარმოდგენას.

**

პირველად და უკანასკნელად
ბ-ნი ერალი
შევა უველაზედ დიდის ვეფხვის გალიაში.

დაბინდდა თუ არა, დიდ-ძალი მაყურებელი მიაწყდა ნაპოლეონის ცირკს. მთელი ტემპლის ბულვარი ხალხსა ჰქონდა დაჭერილი. ეტლი ეტლს მოსდევდა და ყველანი ფეხაჩქარებით მიეშურებოდნენ ცირკის დახლისაკენ, სადაც ხალხისაგან უკვე ძვრა არ იყო. პოლიციელები ძლივს იმაგრებდნენ ამ სულდგმულს, ტალღას. ხალხი ძალათი იწევდა კარებისაკენ, მოაჯირებზედ გადადიოდა, ერთმანეთს ეჩხუბებოდა და ბილეთების გლეჯა-ფლეთა ჰქონდა. ყველას უნდოდა ცირკში შესვლა ჰღირსებოდა და ამ სიამოვნებისათვის არავითარს ხარჯს არ ერიდებოდა. მართალია, არავის აინუნშიაც არ მოსდიოდა უცნობი მხეცთ-დამამშვიდებელი, მაგრამ ანდრეას-კი ისე ადვილად ვერა სთმობდნენ და ერთიც უნდოდათ ენახათ ის ადამიანი, რომელიც ჯერ არავის დაემონებინა და პარიჟიდგან—წარმოიდგინეთ!—ხელ-უხლებელი, წმინდა, ლაქ-დაუდებელი მიდიოდა.

ანდრეას გამოსვლამდე ცირკში ცხარე ლაპარაკი იყო ატეხილი... ჯერ კიდევ რვა საათი არ შესრულებულიყო, მაგრამ ცირკი-კი მაინც გაჭედილი იყო ხალხით. ამ უშველებელს შენობაში მარტო ლაპარაკის ყაყანი და გუგუნი-ღა ისმოდა. ყველას რაღაც არა-ჩვეულებრივის მოლოდინით უცემდა გული, თუმცა-კი არავინ იცოდა, რა უნდა მოხდეს ისეთი შესანიშნავიო. მაყურებელნი თითებითა და თვალებით ანიშნებდნენ ერთმანეთს დიდის ვეფხვის ყაფაზას, რომელიც ასპარეზის შუა ალაგას იდგა და ზედ შავი ფარდა ჰქონდა გადმოფარებული. საშინელი მხეცია ეს ვეფხვი! ხუმრობა არად ეპიტნავება და ამიტომ ფრთხილად უნდა იყოს იმასთან ახლო მისული ადამიანი! ეს ერთი... საათმა რვა დაჰკრა.

ძლივს!.. ანდრეა გამოჩნდა!

ხალხი ალტაცებით დაუხვდა, მაგრამ მან-კი, რომლის გულსაც ქებადიდება ვერ ააჩქარებინებდა ძგერას, გულ-გრილად გადაჰხედა ამ აღელვებულსა და აჩქოლებულს საზოგადოებას და ერთის ხელის ჩაქნევით ხმა გააკმენდინა.

დუმილი ჩამოვარდა. ყველამ იმას მიაჩერა თვალები, ამ შავ თვალ-წარბა, წელ წერწეტა და ნარნარს ბანოვანს, რომელსაც ღიმილ-მიუკარებელი მკრთალი სახე ჰქონდა და მშვენიერი არწივისებური ცხვირი და ისე ამაყად გამოიხედებოდა, თითქოს ღმერთა იყოსო.

საზოგადოება მიესალმა. ანდრეას თეთრი კაბა ეცვა, კაბა, რომელსაც ოქრომკედით მოქარგული ვარსკვლავები აჰრელებდა. ამ მშვენიერმა ქმნილებამ მარმარილოსებრ თლილის თითებით შავი თმები უკან გადიყარა და ღიმილით დაანახვა ყველას თავისი მოთილისმული კვერთხი: ეს კვერთხი უბრალო წკეპლა იყო.

ხალხი დიდს პატივსა სცემს ჰკუასა და გამბედაობას. იგი თავ-გამეტებით მიჰყვება განსაცდელის დროსაც-კი უკან იმას, ვისაც ეს ორი თვისება აქვს. იქნება ანდრეამაც იცოდა ეს...

იმ წუთას, როცა ყველა მის მონადა და მხევლად იყო ქცეული, ანდრეა ნელის, დინჯის ნაბიჯით შევიდა ვეფხვის ყაფაზაში. ვეფხვს უკანა ფეხები მოეკეცნა და სთვლემდა.

— იაგო! დაუძახა ყმაწვილმა ქალმა.

ნადირმა ცეცხლსავით მოელვარე თვალები გამოახილა, გაიზმორა და კატასავით ნაზის კრუტუნით დახვდა სტუმარს. მშვენიერი ნადირი იყო ეს უშველებელი ვეფხვი: შავ და ყვითელ წინწკალ დაყრილ საუცხოვო ჰრელ ბეწვს ქვეშ ადამიანი იმის ძლიერ კუნთების მოძრაობას შეამჩნევდა. ვინცკი ჰნახა, როგორაც ტრიალებდა, ბრუნავდა, გორგალსავით ეხვეოდა და ოთხივ-კუთხივ დახტოდა მალხაზად

რი" დამშეულ სილნაღელთა სასარგებლოდ, რომელსაც ტაშს უკრავდა მთელი განათლებული ტფილისი, მთავარ-მართებლიდგან დაწყებული უკანასკნელ მოხელემდის; შენგან მოკითხვა ტფილისში შეკრებულ ევროპის მეცნიერთა, საცა შენებურის პატეტიურის ხმით უქე მათ ჩვენის ქვეყნის:

И небо, вѣчно голубое,
И южной нѣги рай

შენის გეგმით შედგენილი ლექსი წმინდა ნინოს ცხოვრებაზე, შენგან უკანასკნელად წაკითხული კოპპეს თხზულება... ვინ ჩამოსთვალოს ყველა ის გრძელი სალამო, რომელშიაც შენ ეხატები ჩვენს ხსოვნას თეთრის გულის პირითა და ყელ-სახვევით ახატული, პირ-მომღიმარე, შენის მშვენიერის მაღალის ხმით მკითხველი რუსულ-ქართულის ლექსებისა.

გარნა თეატრი და სცენა შენი დამსახურებაა და მიზეზი პატივის-ცემისა. შენი სიყვარულის წყარო არის შენი ნიჭი, შენი ერთგულება ქართულის მწერლობისა და შენი თაფლ-წაცხებული კალამი. ვის დაუწერია რამ შესანიშნავი ჩვენს ენაზე, რომ შენ ის სიტყვა-სიტყვით არ გეთარგმნოს და არ გაგეგზავნოს რუსეთის მწერლებთან გადასაკეთებლად; ან სხვაგან თხზულება ვის დაუწერია, რომლის გადათარგმნის გულის-თქმა შენ არ გქონოდეს „შენის" სცენისათვის. რამდენჯერ გითქვამს ჩემთვის შეგვედგინა რამ პიესა ჩვენის ცხოვრებიდგან, გაგვეგზავნა დიუმა-სარდუსთვის, როგორც „დანიშევის" ავტორს, და აქაურის ფერადის ტანისამოსებით წარმოგვედგინებინა ეს პიესა საფრანგეთში. შენც ბევრი გიწერია და ყოველგან ჩვეულებრივი შენი ოხუჯობა გამოგიჩენია, რომელიც გიმშვენებდა ლაპარაკსაც. მაგრამ განა შენში მარტო მწერალი იყო საყვარელი. შენში ყველა ჰხედავდა იმ იშვიათს ქართველს, რომელსაც ცოტად თუ ბევრად გაეგებოდა ყოველგვარი სახე მშვენიერის ხელოვნებისა. შენ თაყვანის-მცემელი იყავი ყოველ გვარის ნიჭისა, თუნდაც რომ ეს ნიჭი მტრისა ყოფილიყო; შენ მტერი იყავ სიტყვათა უაზრო ფრქვევისა, თუნდ რომ ეს სიტყვები უეწმიდეს საგანს შეჰხებოდა. ამასთან ახლის ნიჭი გქონდა უჩვეულო. ყველაზე წინად ახალი წიგნი შენს სტოლზე უნდა დებულიყო; ყოველს ახალს გამოგონებას ჯერ შენს ხელში უნდა გაევლო; ყოველს ახალს პიესას შენს კაბინეთში უნდა ეჩინა თავი.

წახველი და დაგვაობლე, დაგვეკეტე კარი სიამოვნებისა. მომავალმა ისტორიამ ქართულის მწერლობისამ შენს სახელზე შეიძლება ბევრიც არ ილაპარაკოს, მაგრამ როდესაც ეს ისტორია გადაშლის ქართულის სცენის ამბავს, უეჭველად შეჩერდება იმ ფურცელზე, საცა იქნება შენი სახელი და გვერდით დაწერს: აქ ვილაც ყოფილაო. ნეტავი იმას, ძმაო, ვინც თუნდ ასე მცირედი ყურადღება დაიმსახურა შთამომავლობისა. ნეტავი შენ, მეგობარო. მშვიდობით!

### სიტყვა აკაკი წერეთლისა

ეს უკუღმართი წელიწადი გამეტებით მოგვდგა: უკეთეს მამულიშვილებს გვაცლის ხელიდან!.. მწუხარება მწუხარებაზე გვემატება და გულის ტკივილი უსაზღვრო შეგვექნა!.. დღევანდელმა უბედურებამ-კი ზედ ნაღველიც დაგვერთო: სხვებს მეტად თუ ნაკლებ ცხოვრების გზა გაველილი ჰქონდათ და ეს-კი უდროოდ ჯერ ისევ ღონიერი თვალსა და ხელს შუა გაგვექრა და თან ჩაიტანა სამარეში მომავალი იმედები!.. ორ-კეცად საგლოვე შეგვექნა, კერძოდაც და საზოგადოდაც... კერძოდ, ვინ არ იცის, რომ ეს იყო კეთილი კაცი, უბიწო, სათნო და მოკრძალებული; სასიამოვნო ამხანაგი და ტკბილი მეგობარი? ამგვარივე ხასიათი ჰქონდა და ამისთანავე ფერი ედო მის საზოგადო მოღვაწეობასაც... ჯერ კიდევ ოცი წელიწადი არ შესრულებულა რაც ეს დაუბრუნდა თავის სამშობლოს უცხოეთიდგან. მაშინ, საზოგადოდ ქართველი ახალგაზრდობა, იმ აზრით იყო გამსჭვალული და აღფრთოვანებული, რომ თავის ქვეყნისათვის თავი მსხვერპლად შეეწირა, ყველანი, თითქმის, გადაჭარბებულის სურვილითა და დაპირებით მოდიოდნენ, მაგრამ ზოგმა მათგანმა, რომ ველარ აიტანა მძიმე ტვირთი, უკუდგა გადაუხვია და მათ დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენთან ველარა ვხედავთ. ეს-კი ზომიერის პირობებით დაბრუნდა და ამ ზომიერებისათვის არ უღალატნია და საგვარეულო ანდერძი, ქვეყნის ერთგულება და სამსახური, მტკიცედ მიიღო თუ არა გამოჩენილს მამისაგან, გაუტეხლად და შეუშლელად მიატანა კუბოს კარამდე! ეს დღეს, ამ შევიწროებულს დროში, ჩვენში დიდი სამაგალითო ღვაწლია. და ჩვენც მოვალე ვართ, თავი მოუხაროთ მაგის წმინდა კუბოს საზოგადოდ. კერძოდ ვეთხოვები მხოლოდ მაგის გვამსა და სულიერი მხარე, გრძნობა-გონება-კი აქ რჩება სამარადისოდ. ამ გვარ სიკვდილს არა ჰქვიან სიკვდილი. ეს არის მხოლოდ სამწუხარო, ხანგძლივი მოშორება... აი ეს არის, რომ დღევანდელს მიცვალებულსაც არა ვსთვლით მკვდრად. ეს, იქ ერთად თავის მამით პირნათლად წამდგარი გამოჩენილ წინაპრებთან, აქაც კავშირ-გაუწყვეტლად დარჩება ჩვენთან, მომქმედ პირად ერთად იმ მცირე წრესთან, რომელიც ჰფიქრობს და ჰზრუნავს ჩვენს სამშობლოზე... მხარს მისცემს, გაამხნევებს და თითოეულს მათგანს ასე მიაცილებს საფლავის კარამდე, როგორც ჩვენ დღეს ვაცილებთ თვით მაგას. ნეტავი იმას, ვინც ამ გვარად შორდება ამ სოფელს!.. ნეტავი ამის სახსენებელს, რომელიც საუკუნოა!

—

კუბოზედ სულ ჩვიდმეტი გვირგვინი იყო:

1) უდროოდ დაკარგულს მეგობარს დავით ერისთავს ივ. მაჩაბლისაგან.

2) Отъ Б. Вильчинскаго 14 окт 1890 г.

3) Отъ редакціи „Мшакъ".

4) Իշխան Դաւիթ Էրիսթաւին „Արձագանք" խմբագրութենից. (თავადს დავით ერისთავს „არძაგანქის" რედაქციისაგან).

5) დაუვიწყარს მეგობარს დავით ერისთავს ილ. მიქელაძისაგან.

6) Отъ В. Л. Форкатти.

7) Кн. Давиду Эристову. „Тифлисскій Вѣстникъ", „Голосъ".

8) ქართულის თეატრის ერთგულს მოღვაწეს თ. დ. გ. ერისთავს ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან.

9) თ. დ. გ. ერისთავს „მეურნეს" რედაქციისაგან.

10) ჩვენს დაუვიწყარს დავითს. ზაქარია და ნიკოლოზ ერისთავნი.

11) Отъ Каспійскаго товарищества 14 ок. 1890 г.

12) Отъ Каспійско-черноморскаго нефтепромышленнаго и торговаго общества 14 ок. 1890 г.

13) თ. დ. გ. ერისთავს:

„სამშობლო!.." ვისაც ეს სიტყვა
ესმის და ანუ ხმენია,
მის გული აღფრთოვანებული
სამუდმოდ ტახტად შენია.
„სამშობლოვ"! . ამოიკვნესე,
ამ კვნესას მთებმაც ხმა მოსცეს,
შეგრთნენ საფლავში წინაპართ
ძვლები და შენ ხმა გამოსცეს.

მოგაჰრე ქართველ ყმაწვილ-კაცთაგან.

14) Отъ А. М. Фейгль 14 окт. 1890 г.

15 Отъ сотрудниковъ „Новаго Обозрѣнія".

16) თავადს დავით ერისთავს „ივერიის" რედაქციისაგან.

17) მახლობელთა და ნათესავთაგან.

◆◆

## ახალი ამბავი

*** განსვენებულ თ. დავით გიორგის ძის ერისთავის გარდაცვალების გამო შემდეგი სამძიმრის დეპეშები მოგვივიდა.

ქუთაისიდგან—„თ. დავითის სიკვდილმა ელდა გვცა. გარდაეცით დედასა და მეუღლეს განსვენებულისას, რომ ჩვენც თანავუგრძნობთ იმათს მწუხარებას. დეკანოზი გიგაური".

კავკავიდგან—შეუბრალებელმა სიკვდილმა, რომელმაც სულ მცირე ხანში გამოგვაკლო სამი წარჩინებული და ღირსეული კაცი, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ ორბელიანი და უდროოდ გამოსალმებული დავით ერისთავი, აქაურს ქართველობას სასოება წარკვეთა. განსვენებულის პანაშვიდზე დიდ-ძალი ხალხი იკრიბება. ყაფიანი".

კასპიდგან—„დიდად შეგვაწუხა უდროვო სიკვდილმა ჩვენის ძვირფასის დავითისამ. ეგეც კიდევ ერთი დიდი დანაკლისი. გარდაეცით ჩვენი გამოუთქმელი მწუხარება დედასა და მეუღლეს განსვენებულისას. მესხიევი".

მოსკოვიდგან—„დავით ერისთავის სიკვდილმა მეხსავით თავს ზარი დაგვცა. ვწუხვართ, რომ იგი დავმარხეთ მაშინ, როცა მისი ნიჭი სისრულეში შედიოდა. ხახანაშვილი".

*** პარასკევს, 12 ოქტომბერს მოხდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობის კრება მოწვეულ მცოდნე კაცთა თანადასწრებით. ამ კრებაზე წაკითხული იქმნა საპრემიოდ წარმოდგენილი პეტერბურგიდგამ ოთხმოქმედებიანი კომედია „ქვეყნიერობის მოშორებით". მმართველობა თავის გარდაწყვეტილებას მაშინ გამოაცხადებს, როდესაც დანარჩენი პიესებიც იქმნება წაკითხული.

*** ორშაბათს, ამ თთვის 22, აკურთხებენ ვერის ძველ სასაფლაოს ეკკლესიასთან ახლად დაარსებულს სამრევლო სკოლას: მასწავლებლად დანიშნულია ვ. გძელიშვილი.

*** ერთი ახალი სამრევლო სკოლა კიდევ შეემატა ჩვენს ქალაქს.

---

თითებზედ, დარწმუნდა, რომ მართლა ღირსი ყოფილა ძველ მელექსეების ალტაცებულის ქებისა და აწინდელების პატივცემულ მორიდებისა და მოწიწებისაო.

— იაგო! განიმეორა მხეცთ-დამამშვიდებელმა.

ვეფხვმა დაამთქნარა, დიდი პირი დაალო და წითელს ღრძილებში ჩასმული საუცხოვო ბასრი კბილები და ხერხსავით დაზლმურდლული ენა გამოაჩინა. დამთქნარებას, რაღა თქმა უნდა, კვლავ გაზმორება მოჰყვა. იმისი ბრჭყალები მისსავე კბილებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს ასე შეიარაღებული ბატონი ყველას ადვილად ამოიდებოდა ქვეშ და დაჰბუბნიდა. ყოველი ასო სხეულისა ისეთის სიდიდისა ჰქონდა, რომ ადამიანს უნებურად პატივის-ცემის გრძნობას უნერგავდა.

— ჰოპ, ჰოპ! უბრძანა ანდრეამ და წკეპლით ულიტინა: წამოდექ!

იაგო უკანა ფეხებზედ შედგა და თავისს ქალბატონს ნაზად აკოცა თვალებსა და ტუჩებში, თითქოს შეყვარებულიაო...

ამ სურათის შესახებ ვილაცა ფრთაფართატა ჯლაბნიამ დასწერა, რომ პარიჟის ბევრი ლომ-გმირი ჰნატრობდა იმ დროს ვეფხვობას და დიდის სიამოვნებითაც გასწევდნენ იმის მაგიერობასაო. დიაღ, ასე დასწერა, და, გეფიცებით, არცა სტყუოდა. ბევრმა მისმა აღმატებულებამ და ბრწყინვალებამ, ამ ყმაწვილის ქალის ეშხით თავ-დავიწყებით გატაცებულმა, ფეხქვეშ ფიანდაზად გაუშალა თავისი სიმდიდრეცა და თავისი თავიც, მაგრამ მან ზრდილობიანად უპასუხა ამ წარჩინებულთა კაცთა რაზმს, რომ გასაყიდი არა მაქვს-რაო. ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ. მაშინ აი რა უთხრა უკანასკნელად ანდრეამ: „თუმცა ძალიან ღარიბი ვარ, მაგრამ მაინც მუქთად დავუთმობ ჩემს თავს, ჩემს სიტურფეს, ჩემს ღვთაებრივს სილამაზეს, როგორც თქვენ ამბობთ, იმას, ვისაც იმდენად ვუყვარვარ, რომ, ამ სიყვარულის დასამტკიცებლად, ჩემს ვეფხვთან შევა გალიაში მარტოდ-მარტო და თხუთმეტიოდე წუთს გაეცმასლაათებაო". განა ან-კი თქმაა საჭირო, რომ ყველა თაყვანის-მცემელნი მაშინვე გაშპნენ და გაჰქრნენ ბოლსავით. ამდენს ხარისხოვან ადამიან შორის ერთი ვაჟკაცი არ აღმოჩნდა. ანდრეა ისევ ქალწულად დარჩა.

მაყურებელნი სიყვარულით შესცქეროდნენ ამ ყმაწვილს ქალს, რომელსაც ოთხ-ფეხი მონარშიყე კვლავ უალერსებდა და ჰლოშნიდა. რაღა თქმა უნდა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ უმანკოებას ჯერ ასეთი ძლიერი მცველი და მფარველი არა ჰყოლიაო.

— იაგო! ეუბნებოდა იგი, თითქოს პაწია გოშიას, ან ფისუნიას ეძახისო, და ისიც ნაზობდა, ხან ვამოახელდა თვალებს და ხან მილულავდა, სიამოვნებით ბნდებოდა ამ სუსტის არსების ფეხ ქვეშ. სუსტს არსებას-კი იმისი სულ არ ეშინოდა და ისე ეთამაშებოდა, თითქოს ხატაველიაო. საუცხოვო სანახავია სწორედ, საუცხოვო! აღტაცებული საზოგადოება, რაც ძალი და ღონე აქვს, ტაშსა სცემს. ახ, ეს ვეფხვიცა და ეს ქალიც—ორივენი კარგები არიან! ნადირი ისეთი დამჯერო იყო და ანდრეა—ისეთი დამშვიდებული, რომ გულიდგან შიში თავის თავად ეყრებოდა ადამიანს. მაგრამ ვინ იცის, რა არ მოხდება ხოლმე!.. ამ უშველებელს ვეფხვს უკვე რამდენიმე თავისი პატრონი უქცევია ნაფლეთ-ნაფლეთად, ერთი ლონდონში და ორიც—ბრიუსელში; ორივენი ერთს წუთას ამოიდო ქვეშ და კლანჭები და კბილები გაუსო და გამოუსო. თუ მას შემდეგ ცოტა დაწყნარდა, ეს კიდევ მაგდენი არაფერია, რადგან ვინ გეითამდებებს, რომ კვლავ არ მოიგონებს თავისაო. ასეთს მუზმუზელას ნურავინ გაეხუმრება! ანდრეა მეტად დაარხეინებულია... ოჰ, ამ ოთხ-ფეხა ფარისეველს ძალიან მშვენიერად მიაჩნია თავისი ქალბატონი და არ უნდა სილამაზე გაუდუხჭიროს.

„აი, ეშმაკმა წაგიღოს, აჰაი!" ნადირმა უეცრად დაიბრდღვინა და ყველას გაახსენა, რომ ბრჭყალები მაგარი მაქვს და არც კბილები მისხედს ქალალდისაო. გაწიწმატდა და ჯავრობდა, ალერსს აღარ აპირებდა...

ანდრეამ გაიღიმა.

— აბა, შეხტი ერთი, იაგო!

და აგერ ვეფხვი სამჯერ მიიზნიქმოიზნიქა, კუდი გაიქნ-გამოიქნია, ტუჩები მოილოკა... და სამჯერ შეხტა და დაეცა თავ-დამცირებითა და შერცხვენით. დიაღ, ხრიკი იყო, მაგრამ, ღმერთო, რა საფრთხილო ხრიკი! ცოტა მაგრად რომ გაეწია, მშვიდობით მაშინ, სუსტო და ლამაზო არსებავ! მთელის წუთის განმავლობაში მაყურებელნი ხან ჰსიამოვნებდნენ და ხან შიშით ცახცახებდნენ და კანკალებდნენ. ბოლოს ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა, ვეფხვმა კვლავ კნავილი დაიწყო, თითქოს ბოდიშსა სთხოვს გაჯავრებისათვისაო, ზურგზედ გაწვა, ბრჭყალები შეიკუმშა და დაგორგალდა. კრავი იყო ნამდვილი, კრავი! რა ანდამანტისებური ძლიერება ჰქონდა ამ ქალს! განა სხვაც არ გვინახავს მხეცთ-დამამშვიდებელი, მაგრამ ამას შეედრება-ღა ვინმე!.. ისინი თვით ნადირზედ უნადირესნი იყვნენ და გამძვინვარებულს გარეულს მხეცსა ჰგავდნენ... ეს-კი უწყინარს ანგელოზსა ჰგავს, და იქნება კიდეც ამიტომ კარგად ჰხმარობს ამ უწყინარობასა და სიმშვიდეს ფარადაცა და ხმალადაც. იაგო თავს იხრიდა ამ ქალის წინაშე შიშით და იმ შინაურს ნადირსა ჰგავდა, რომელსაც თვით ეშინიან ბოროტის ადამიანებისა. ვეფხვი ისეთის სინაზით ეალერსებოდა ყმაწვილს ქალს, თითქოს ენებით სავსე საყვარელიაო... ბოლოს და ბოლოს იაგომაც დაიწყო მძვინვარება.

აგერ დაიბრდღვინა.

ოჰ, ამ ხელად-კი იმ ღრიალისაგან თმები ყალხზედ შეუდგათ თვით გულციე კაცებსაც-კი.

— ჩქარა ცეცხლი, ცეცხლი ჩქარაო! დაიძახა ანდრეამ.

ყველამ გაოცებით გადაჰხედა ერთმანეთს: „ცეცხლიო? რად უნდა ცეცხლი?"

— ცეცხლი-მეთქი ჩქარა! განიმეორა მოუთმენლად ყმაწვილმა ქალმა.

ყაფაზიდგან გალვივებული მაყალი გადასცეს.

ანდრეამ თავისი წკეპლა ჩააგდო შიგა და დასწვა. შემდეგ მაყალიდგან ამოიღო გახურებული მავთული.

ეს ცეცხლი, ეს ნაპერწკლების მსროლელი გახურებული მავთული—ორივე ისე მოულოდნელად მოიტანეს, რომ საზოგადოებამ სული გატრუნა და შეიგუბა. ვეფხვი აქეთ-იქით ეცემოდა, ციბრუტივითა ჰბრუნავდა და იკლაკნებ-იგრიხებოდა. ცბიერი თვალები ისე უელავდა, თითქოს სისხ-

ეს სკოლა გაუმართავს ფერისცვალების მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს კესარიოსს მონასტრის ეზოში აღლაბრის ღარიბ ყმაწვილებისთვის. 40 ყმაწვილისთვის უკვე ყველაფერი მზად არის ამ სკოლაში და მასწავლებელიც უკვე დანიშნულია. ვისაც ჰსურს, ბიაბაროს შვილი, უნდა მიჰმართოს თხოვნით ამა მონასტრის წინამძღვარს „დარიაშ..“. შემდეგისთვის მას, არქიმანდრიტს მამა კესარიოსს, განზრახვა აქვს, ეს სკოლა ორ-კლასიან სკოლად გადააკეთოს.

*** ბორჯომი: ეს მესამე დღეა, რაც ბორჯომის მამულში ბაკურიანისკენ ტყეს ცეცხლი უკიდია. რაკი ქარი არა ჰქრის, ცეცხლი დიდს ზარალს ვერ იძლევა და არც საიმისო ძვირფასი ტყე იწვის. უმეტეს ნაწილად ნაფუტარსა და ხერკნალს უკიდია ცეცხლი. თუ ქარიც ამოვარდა, საქმე ძალიან გაჭირდება. ცეცხლი პირველად თორის მშვენიერს ტყეს გადაედება და იქიდგან ბორჯომიც შორს აღარ არის. სოფლელები უკვე თავმოყრილნი არიან ცეცხლის ალაგზე და ცდას არ აკლებენ, ჩქარა მოუღონ ბოლო მის გავრცელებას.

*** კაკავი: რაჭიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს შემდეგი. როგორც მკითხველს მოეხსენება სოფ. სალუგარდანში გადმოსახლებულები არიან რაჭველები; ამ სოფლიდგან ენკენისთვეში ერთი ყმაწვილი კაცი წასულა ზემო-რაჭაში ცოლის სათხოვნელად, უთხოვნია ცოლი, ჯვარიც დაუწერნია და ამ თვეის ექვსში ამხანაგებითა და პატარძლით უკან დაბრუნებულა სალუგარდნისაკენ. პატარძალი და ამხანაგები წინ წამოსულიყვნენ, ახალი ნეფე-კი ცოტა დაგვიანებულიყო სოფ. გლოლაში. ამხანაგებმა გადმოიარეს თურმე მამისონის უღელტეხილი მშვიდობით, საბრალო ნეფეთ-კი მარტო შემოსდგომია მთას ცხენითა და რის ვაი-ვაგლახით გადმოსულა ვაკეში. იქ-კი დაუქროლია ქარ-ბუქსა და ნანქერსა გზა აურევია. საბრალოს უვლია უგზო-უკვლოდ და მისდგომია ერთს ალაგას თავის ძმებს. იქიდგან ვეღარ გაუტანებია, მიმჯდარა თავის ძირში და ნანქერს იქვე წაუხვევია თავლში ცხენი და კაცი. საცოდავი ახალი ნეფე იმ ღამეს გაშეშებულა და გარდაცვლილა. მისი ამხანაგები იმ ღამეს მისულან ბინაზედ პატარძლით, ლოდინი დაუწყიათ, მაგრამ ნეფე აბა საიდგან მიიღოდა. მეორე დღეს ე. ი. შვიდში საძებნელად მდევარი წავიდა და გაფიჩხებული საცოდავი ნეფე-კი მოუტანეს მოყვანის მაგიერად ახალს პატარძალს.

*** დღეს, 16 ოქტომბერს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. კრება განიხილავს მორიგ საქმეებსა და მოისმენს მოხსენებას ბ-ნ იუცკევიჩისასა და ემილიანოვისას.

*** 13 ოქტომბერს ხალათოვის ქარვასლაში მაშადი მამედა-ოღლის იმისმავე მოჯამაგირემ ალი მამად-ოღლიმ მოჰპარა 90 მან. ტანისამოსი და ფარჩეულობა, ქურდს ეძებენ.

*** ამავ დღესვე, დიდუბეში მცხოვრებლის ტელეგრაფის მოხელეს ანტონ ბაუერის დაუკეტავის სამზარეულოდგან მოიპარეს ჭურჭლეულობა და სარეცხი 50 მან.

*** 13 ოქტომბერს მეათე ნაწილის პოლიციელმა მიხეილის ქუჩაზე მეწვრილმანის სილვესტრ გავრონსკის დუქანში შეიპყრო, სოფ. ფარახოტის მცხოვრებელი ალექსი ტოგონიძე, რომელსაც რკინის კეტით დუქნის კარები შეემტვრია, ჩაეწყო ხურჯინში პაპიროსები, ჩაი-საპონი, სანთელი, ხუთი მანეთის წვრილი ფული და მიჰქონდა. ტოგონიძე სამართალში მისცეს.

*** ამავ დღესვე, ღამის 11 საათზე, ნახშირის ქუჩაზე, ნათიშვილის შერჩეულის გასაღებით სარდაფი გაუტეხეს და წაიღეს 400 მან. ფულად, 100 მანეთის თამასუქი, რომელიც, ეკუთვნოდა იქვე მდგმურად მყოფს მენახშირეს გიორგი შაქულაშვილს.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

მამის ჩვენის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძის ჯამბაკურიან-ორბელიანის, გარდაცვალების გამო, ულრმესად პატივი გვცეს და დიდად დაგვავალეს გულწრფელის თანაგრძნობით და სამძიმრის გამოცხადებით: კეთილშობილთა და სამოქალაქო საზოგადოებათა, ბ-ნნ მოსკოვის და ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთ, სკოლებმა, კერძო პირთა და ადგილობრივმა რედაქციებმა.

გულით აღძრულთ ამ გვარის პატივისცემით, რომელიც აღმოუჩინეს განსვენებულს, ჩვენ გვსურს განვუცხადოთ ყველას, ვინც-კი ესოდენი პატივი სცა ჩვენს ძვირფასს მიცვალებულს, ჩვენი გულითადი და წრფელი გრძნობა მადლობისა. ამისათვის მოვემართეთ თქვენს პატივცემულს რედაქციას, როგორც წარმომადგენელს სამშობლო სიტყვიერებისას, რომელსაც ულრმესი სიყვარული განსვენებულს გულს ულევიდა სამარის კარამდის.

ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენი თქვენდამი სრული პატივისცემა.

კნეინა მარიამ ვახტანგის ასული და თ. ნიკოლოოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანნი.

◆◆

## წვრილი ამბები

ისპანიის ახალგაზდა მეფე წინადამ არ იმსხვერპლა სიფხიზმა. ერთს დღეს სასეირნოდ წაბრძანდა ეტლითა და როცა ალამედის ბულვარზე გავიდა, ეტლში შებმული ჯორი შეფრთხა და ეტლი ბექობზე შეაგდო. ის ის იყო ეტლი ყირავდა, გადაბრუნებას აპირებდა და მეფეც უნდა გადმოვარდნილიყო, მაგრამ მალე მიუშველნენ და ციმციმ გადმოიყვანეს ეტლიდგან.

— 15 აგვისტოს აქეთ ქალაქ გიოგოში (იაპონიაში) სულ 5,108 კაცი გახდა ხოლერით ავად და მათგან 2,050 კიდეც მოკვდა.

— ჰოლლანდიის გაზეთებს აკრძალათ ამბების წერა თავიანთ შეშლილს მეფეზე. საფრანგეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მეფე ძლიერ არის შეშლილი და დედოფალს ემმას აღარ იკარებს, მეტის მეტად-შეუჯავრება.

— „მაცხოვნებელთა დასმა“ ამას წინად ლონდონში დაასაფლავეს ქ-ნი ბუსტი, რომელიც ამ დასის დედად ითვლებოდა. ამ ქალის დასაფლავებას თითქმის ინგლისის ყველა ქალაქის წარმომადგენელი დაესწრო. კუბოს 25,000 კაცი მისდევდა, გზა-გზა საეკლესიო საგალობლებსა გალობდა და „იოანნეს გამოცხადებას კითხულობდა“.

— მკურნალმა სვენმა ინგლისის სამკურნალო ჟურნალში ანგარიში დაბეჭდა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყვავილის აცრას. ინდოელი ჯარის კაცებიო, სწერს ამ მოხსენებაში, მუდამა ხვდებიან ყვავილით ავადმყოფებს, მაგრამ არც თითონ ჯარის კაცებსა და არც იმათ ცოლშვილს ყვავილი არ გადასდებიათო, ყვავილი მხოლოდ ორ ყმაწვილს შეჰხვდა და ისიც იმიტომ, რომ აცრილი არა ჰქონდათო.

— „L' Evrope artiste“-ში შემდეგი ამბავია მოთხრობილი გამოჩენილ პატტის ცხოვრებიდგან. ერთხელ პატტიმ მარმონების ქვეყანაში, სახელდობრ ქალაქ უტახაში, კონცერტი გამართა. კონცერტს დაესწრო მორმონების 12 მოციქულის უფროსი ჯონ ტეილორი თავისის 8 ცოლითა და 12 შვილით. კონცერტს შემდეგ ტეილორი შევიდა პატტისთან და ლაპარაკი დაუწყო. პატტი ძლიერ ალერსიანად ეპყრობოდა ტეილორს, შამპანიის ღვინოც მოატანინა და გაუმასპინძლდა. ტეილორმა ცოტაოდენი რომ გადაჰკრა, თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი და სხვათა შორის უთხრა პატტის, შენ ლამაზი ხარ ყველა ჩემს 8 ცოლზეო. ამას შემდეგ ტეილორი მოჰყვა და თავისი ამბავი უამბო პატტის. წინად მარტო ერთი ცოლი მყავდა და კმაყოფილიც ვიყავი, მაგრამ ცოლი თავს გვიდა და ჯოჯოხეთი ჩამომიგდო სახლში. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ავიღე და მეორე ცოლი შევირთე. ვერ წარმოიდგენთ, რა ნაირად იმოქმედა ამ ამბავმა ჩემს პირველს ცოლზე. უეცრად სულ ერთიან გამოიცვალა, დაწყნარდა, დამშვიდდა და სწორედ ანგელოზს დაემსგავსა. როცა მეორე ცოლს სხვებიც მოვუმატე, მაშინ რომ სწორედ ანგელოზი შეიქნა და ანგელოზი. ცდილობდა, რაც შეეძლო, რომ ყველა სხვა ცოლებისთვის ეჯობნა თავისის კარგის ყოფაქცევითა და ისე მოეწონებინა და შეეყვარებინა ჩემთვის თავისი თავი.

◆◆

# დეპეშა

13 ოქტომბერი

პეტერბურგი. ბიულეტენი ალუშკიდამ 12 ოქტომბრის თარიღით: დიდს მთავარს ნიკოლოზის მეს უფროსს განმეორებით აღარ მოსვლია მანჭვა; დღისით დამშვიდებული იყო, მხოლოდ ხანდახან აღელდებოდა ხოლმე; ღამე დამშვიდებით გაატარა; მადა საკმაოდ კარგი აქვს.

გუშინ დაურიგეს ჯილდოები ხეხილისა და ბოსტნეულობის გამოფენის ექსპონენტებს. საჩუქარი ხელმწიფე იმპერატორისა — ორი ფაიფურის ვაზა ბრინჯაოთი, რომელიც ბერძნულის ხუმოჯნებით არის გაკეთებული, ერგო ვარშავის ზოოლოგიურის ბაღის წარმომადგენელს. ეს ბაღი საერო განათლების სამინისტროს უწყებაშია. ოქროს მედლები 47 მიეცა ჯილდოდ.

დამტკიცებულ იქმნა წესდება მკურნალ-დედაკაცთა ურთიერთის შემწეობის საზოგადოებისა.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ სამხრეთის ფულიანი კაცები შუამდგომლობენ და უნდათ ნებართვა აიღონ სააქციონერო საზოგადოების დაარსებისა სახელწოდებით: „Восточное общество пароходства“. თანხად ექნება საზოგადოებას 6 მილიონი მანეთი. საზოგადოების დაარსების აზრი არის, გააადვილოს მისვლა-მოსვლა აღმოსავლეთის შორეულს ქვეყნებში და ციმბირისკენ.

ხარკოვი. აქ თოვლი და ყინვებია. ფასი პურისა მატულობს.

---

ლი სწყურიანო და უმის ხორცით უნდა ჩაიმტკბარუნოს პირიო. ანდრეას თვალი არც-კი დაუხამხამებია და წარბიც არ შეუკრავს, ჩვეულებრივ იღიმებოდა და გაცხელებულს მავთულს თვალებში აჩერებდი ვეფხვს.

— ახლო მოდექ!

ვეფხვი დამორჩილდა.

— კიდევ!

ვეფხვი თანდათან უახლოვდებოდა.

აგერ საცაა თავს მიახლის მავთულს. ვეფხვი უეცრად უკან გახტა და ბრდღვინვით დაებღაუჭა ყაფაზის მოაჯირს ისე ძლიერად, რომ რკინის მავთულები მოზნიქა. „კმარა, საკმარისიაო!“ ჰყვიროდნენ ყოველ მხრიდგან. ანდრეამ დაცინვით შეჰხედა ხალხს, თითქოს იმისი თქმა უნდა: „რა სულელები ხართო!“, და თავისი დიდრონი შავი თვალები ვეფხვს მიაჩერა, რა ალაგას დაედგომო?

— კმარა, კმარა!

ყმაწვილი ქალი ყურს არ უგდებდა.

ყველამ უნებურად თავი იქით მიიღო.

გაისმა გაცოფებული ღრიალი და მას მოჰყვა მხიარული და ხმა-წკრიალა კასკასი.

გაჰბედეს ცალის თვალით შეხედვა და რა დაინახეს? მცირეოდენი ბოლი იდგა და ბოლს იქით პირზედ ქაფმოდენილი იაგო ტკივილისაგან მობუზულიყო.

— ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!

ვეფხვი მივარდა.

— დაწექ!

და ქალმა ფეხი იარაზედ დაადგა... ნადირმა-კი (ღმერთს გეფიცებით, უნდა გენახათ, რომ გერწმუნათ!) კვლავ ალერსით შეჰხედა და ქედი მოუხარა.

მთელი გრგვინვა ასტყდა ტაშისცემისა და ყიზინისა.

— ანდრეა!.. ვაშა, ვააააშააა! მშვენიერებაა! დასწყევლოს ღმერთმა, რა მამაცია! შეუდარებელია, შეუ!.. საოცარია! ანდრეა! ანდრეა!

ცირკი კანკალებდა, სჭექდა და ჰქუხდა. მაყურებელთა ყიჟინას მუსიკის ხმა შეუერთდა და ისეთი ღრიანცელი ასტყდა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. შეშინებული იაგო-კი საშინლად ჰღმუოდა და ჰღრიალებდა ყაფაზაში. მუსიკის ხმაზედ მის ანდრეა უწინდელებრ დინჯად და ნელის ნაბიჯით გამოვიდა ყაფაზიდგან, ცირკის ასპარეზზედ ორჯელ გაიარ-გამოიარა და აღტაცებაში მოსულს საზოგადოებას სალამი მისცა თავისის პაწია და მშვენიერის ხელით.

განა ღირს-კი ანდრეას შემდეგ ერალის ნახვა? ვინ შეიწუხებს ამისთვის თავს, გაგონებითაც არავის გაუგონია, რა ეპამპტონი ჰბრძანდება ეგ ერალაცა ერალია? ან ვაჟკაცის ნახვა რა სასიამოვნოა და საინტერესო? იმან როგორ უნდა დაიმსახუროს საზოგადოების ყურადღება?.. ის იყო ყველანი წასვლა-წამოსვლას აპირებდნენ, რომ ხმა გავარდა: „ერალის წარმოდგენა შესანიშნავი რამ წარმოდგენა იქნება, გული მაგრად შეინახეთ, ხოლო ვისაც ძარღვები სუსტი გაქვთ, გირჩევნიათ ეხლავე უშველოთ თავსაო“. ერთმა მაყურებელთაგანმა, რომელმაც ყველას ავი და კარგი იცოდა, ისეთი ამბავი მოუთხრა საზოგადოებას, რომ ფეხზედ წამომდგარნი ისევე დასხდნენ. აი ეს ამბავი:

ეტიენ ერალი სენტ-ანტუანის უბნელია და კაი ბიჭიც, თუმცა გროში არ მოეძევება ჯიბეში. ამ ყმაწვილ კაცს ანდრეა შეუყვარდა... თამამად მივიდა ქალთან კაი შეძლებულივით. და, არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ გამოუცხადა გრძნობით, რომ მიყვარხარ და მინდა, რომ შენც გიყვარდეო. ყმაწვილმა ქალმა იგივე პასუხი მისცა, რომლითაც წარჩინებულნი დააფრთხო: „ერთი ნახევარიოდე საათი ემასლაათეთ იაგოს და მერე ვნახოთო“.

ელოდდა ვითომ ერალი ასეთს პასუხს? არ ვიცით, მაგრამ არ შეშინებია-კი: „დიდის სიამოვნებით გავემასლაათებით მაგ თქვენს პაწია ნადირს, როცა გნებავთ, თუნდა დღეს, თუნდა ხვალ, ჩემთვის სულ ერთიაო!“

— გაგიჟდით, თუ რა ღმერთი გაგწყრომიათ!

— დიაღ, გავგიჟდი, გაგიჟებული ვარ შენის სიყვარულით!

ყმაწვილი კაცი აღარა ხუმრობდა. ქალი მოლბა. ნუ თუ შეხვდა ნამდვილს სიყვარულით გამსჭვალულს ადამიანს? ალბად ძალიან უნდა უყვარდეს კაცს ქალი, თუ მისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც არ ერიდება. ანდრეა დაფიქრდა. ნუ თუ ეს ერთგული კაცი ვეფხვს უნდა დავაგლეჯინო? მერე ვიპოვნი-კი ასე ჩემის ერთგულებითა და სიყვარულით აღსავსე ადამიანს?.. პირველად გაუელვა ყმაწვილს ქალს თავში იმ ფიქრმა, რომ ყველა მამაკაცი არა ყოფილა საძაგელი და მშიშარა, იმათშიაც რეულა მტკიცე ხასიათისაო. ქალმა დაშლა დაუწყო, მაგრამ ერალმა ყურიც არ ათხოვა. ბოლოს მორიგდნენ კიდეც. ანდრეამ მოახერხა ეს საქმე. მან სიცრუე უთხრა ცირკის პატრონსაცა და მთავრობასაც და გამოუცხადა, რომ ერალიც მხეცთა-დამამშვიდებელია, ამ საქმეში გამოცდილი კაცია, და ნება მიეცით საზოგადოების წინაშე გამოსვლისაო.

დადგა ვადაც. მთელი დღე შფოთვასა და ბორგვაში გაატარა ყმაწვილმა ქალმა. წარმოდგენის დაწყებას ორი საათი უკლდა, რომ დაიბარა ერალი და ურჩია, უარი სთქვი, კიდევ ორი საათი ვადა გაქვსო, მაგრამ ვერას გახდა-რა. „იქნება იაგომ ნაფლეთ ნაფლეთად მაქციოსო, უპასუხა მან: შესაძლებელია, მაგრამ თუ ბედმა თავისი წყალობის კალთა გადმომაბერტყდა და გადავურჩი იმის ბრჭყალებს, გადაწყვეტილია, ჩემი ცოლი უნდა გახდე, ჩემი საკუთარი ცოლიო!“ ერთს წუთს ისეთს გუნებაზედ დადგა ქალი, რომ უნდოდა მოხვეოდა და ეთქვა, რომ გამინთავისუფლებიხარ მაგ დაპირებისაგან, აღარ გამოგცდიო... დიახ, უნდოდა ეთქვა, მაგრამ დედაკაცი პირველს გულის თქმას იშვიათად აჰყვება ხოლმე, თუმცა იგია ყოველთვის უკეთესი. ანდრეამ მხოლოდ მალაიური ბებუთისებური დანა აჩუქა და უთხრა, რომ „ამ პაწია ხანჯლისა და თქვენის სიმამაცის წყალობითაც დიდი, ძალიან დიდი ქებაა, თუ მთელი და უვნებელი გადარჩითო. სცადეთ და მე-კი გეფიცებით, რომ დანაპირევს შევასრულებო!“ აქ ამ მშვენიერმა ასულმა მარცხენა ხელის ერთი თითი აიწოდა და ისეთის ღიმილით დაუმატა: „ამ თითზედ ბეჭედი იქნებაო“, რომ ეს ღიმილი თვით განდეგილსაც-კი კდემას მოჰგვრიდა.

მაშ ასე, ცოტაოდენი მოთმინება ვიქონიოთ და ვნახავთ იმას, რის ნახვასაც არავინა ჰღირსებია!

—რ-ანი

(დასასრული იქნება)

**სტამბოლი.** ოსმალეთსა და პატრიარქებს შორის ცხარე ლაპარაკია იმის გამო, რომ წირვა-ლოცვა არ იყოს გაუქმებული ეკკლესიებში, რომელიც ნიშნად წინააღმდეგობისა დაუკეტავ იქმნა.

**სოფია.** სტამბულოვი ნელ-ნელა შედის უკეთესობაში, თუმცა საზოგადოდ მისი მდგომარეობა ისე კარგად არ არის, როგორც ოფიციალურს დეპეშებში სწერენ. სამხედრო მინისტრი მუტკუროვი მალიან ავად არის.

### 15 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** „Бирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ განსილვა სატამოჟნო ტარიფისა გათავდება ამ ზამთარს და პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს ამ სესიაშივე.

ციმბირის რკინის გზის გასაყვანად დანიშნული კომისია იმ აზრისაა, რომ ეს გზა ხაზინის ხარჯით გაკეთდეს ნაწილ-ნაწილ იმ ფულით, რა ფულიც გადარჩეს ხოლმე ბიუჯეტსაო.

ზოგიერთი გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ უკვე გადაწყვეტილი საქმეა წასვლა რუსეთში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კარნოსიო. კარნო მოვა რუსეთს მაისში, დაათვალიერებს მოსკოვს, სადაც იმის თანადასწრებით აკურთხებენ საფრანგეთის გამოფენას, მერე წავა კოლკით და იქნება დაათვალიერებს ყირიმის მხარე და კავკასიაო.

ბუხარის ემირმა გადასწყვიტა შემოიღოს სწავლება რუსულის ენისა ბუხარის უმაღლეს სასწავლებელში.

**პარიჟი.** იმ კანონ პროექტით, რომელიც წარედგინა პალატას, საფრანგეთს სრული ნება ეძლევა ისეთი სატამოჟნო ტარიფი შემოიღოს საკლავ საქონელზე, როგორსაც საჭიროდ დაინახავს: თუნდ მეტზედ მეტს დააწესებს, თუნდ ნაკლებზედ ნაკლებს. მატყლს, ტყავეულობას, ბამბას, სელს, კანაფს და ნავთს ბაჟი არ დაედება. ბაჟი ხე-ტყეზე მომატებული იქმნა.

**ბერლინი.** გუშინ რუსეთის ელჩმა მიულოცა უმაღლესის ბრძანებით ფელდმარშალს მოლტკეს დაბადების დღე. იმპერატორმა გენერლობის თვალ-წინ მადლობა გადაუხადა ფელდმარშალს და უბრძანა, შენ შექმენ უძლეველი მხედრობა და მონაწილე იყავ გერმანიის აღდგენისაო. იმპერატორმა უარ-ჰყო იმ დღეს თავისი უმაღლესი უფლება—დროშები არ იახლა თან და სთხოვა იუბილიარს, ერთხელ კიდევ მიიღეთ თქვენ მიერ უკვე შექმნილი მარგლის კვერთხი, რათა მით მადლობა გადუხადო ფელდმარშალს, რომელმაც უმაგალითო დიდება გამოიჩინა და შექმნა სკოლაო. იმპერატორმა სთხოვა ყველას, დავძახოთ „ურა“ ფელდმარშალ მოლტკეს პატივსაცემლადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ოქტომ.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 6 | 60 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 132 | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — | „ | 1 | 12 | — | „ |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 232½ | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 214½ | |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | 214¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის საზოგადო... | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.


## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება

ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და სხვა მაღაზიებშიაც ისტორიული მოთხრობა:

**ოქროს ხოხობი**

დავ. დათოშვილისა

ფასი 5 კაპ.

„ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“

მაღაზიაში ისყიდება შემდეგი

ახალი გამოცემანი:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზ. ი. დავითაშვილისა (სურათითა და ბიოგრაფიით) . . . . . . . | „ | 80 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ (ლეგენდა) ბაჩანასი . . | „ | 15 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . - . . | „ | 25 |
| არჩილიანი ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება ძველი აწერლობა. | „ | 75 |
| სიბრძნე სოლომონ მეფისა (სურათით) . . . . . | „ | 15 |
| „მარაბდა“ პოემა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“ პოემა მისივე . | „ | 20 |
| შვილის აღზრდა თ. ხუსკივაძისა . . . . . . | „ | 20 |
| „ვეფხვის ტყაოსანი“ (ჯიბისა). . . . . . . | „ | 40 |
| „ბატონ - ყმობა საქართველოში“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . | „ | 50 |
| „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . . . . . . | „ | 20 |
| „ბორკილი“ დრამა 4 მოქმედებად თხზ. სუმბათაშვილისა თარგ. ა. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| „კიკოლას ნაამბობი“ პოემა აკაკისა . . . . . . | „ | 20 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |

(ლორის მელიქოვის ქუჩა ზუბალოვის სახლი). (5—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ |
| 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება, არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.




ტფილისის გამოფენა




ვერცხლის.




ოქროს.

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
# А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—23

ოქროს




თამბაქოს ფაბრიკა

მედალი



# ნ. ი. გოზალჯინაცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—17)

# კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.




ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—52)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. цен. Тифлисъ, 15-го Октября 1890 г. Типо-Литографія Е. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე